ახალი ხარაგაული

348 (7) 27 მარტი, 2017 წ

საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს საჩუქრები გადასცა

21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში მაჟორიტარი დეპუტატის, მანანა ბარბაქაძის, ინიციატივით ღონისძიება მოეწყო. ღონისძიების მთავარი მიზანი დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა უფლებების დაცვა და ამ კუთხით საზოგადოების ინფორმირება გახლდათ. ქალბატონმა მანანამ ამ სინდრომის მქონე ბავშვებს საჩუქრები გადასცა და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ადამიანები საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან.

შეგახსენებთ, რომ დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე პირველად 2006 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აღინიშნა. 2011 წლის დეკემბერში კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 21 მარტი დაუნის მსოფლიო საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. დაუნის სინდრომი 21-ე ქრომოსომის ტრისომიით (ანომალია) გამოწვეული გენეტიკური მდგომარეობაა, რომელიც ადამიანებში იწვევს ინტელექტუალურ შეზღუდულობას. ეს დაავადება მსოფლიოს ყველა რეგიონში გვხვდება და მისი გამომწვევი მიზეზები ამ დრომდე უცნობია.

ДИДВАКЕШИ ЦЕНТРАЛУРИ ГЗИС РЕАБილИТაცია მიმდინარეობს

დიდვაკეში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს. სამშენებლო სამუშაოებს კი ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ნიუ ქასთელ ქონსთრაქშენი“ ასრულებს. სოფლის ცენტრალურ გზაზე მიმდინარე სამუშაოები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა. მხარეები აქ მცხოვრებლებს შეხვდნენ და გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მათ შეხედულებებს გაეცნენ. ხარაგაულის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის, მალხაზ ფხალაძის, განმარტებით, დიდვაკეში გზის მშენებლობასთან დაკავშირებით შენიშვნები ორმა ოჯახმა გამოთქვა. ისინი მეწყერის საშიშროებაზე საუბრობენ და დაუყოვნებლივ ითხოვენ ზომების მიღებას. საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მეწყერსაშიშ ზონებში დამცავი კედლები აშენდება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე, არჩილ მაღრაძე განმარტავს, რომ პროექტის ფარგლებში გზაზე არხები და გაბიონები მოეწყობა, რის შემდეგაც ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება.

სოფელ დიდვაკის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (837მ), ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, ოქტომბერში დასრულდება.

პროექტის ღირებულება 915 000 ლარს შეადგენს.

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სამხარეო ადმინისტრაციის მიერ მოწყობილ ღონისძიებაში, ხარაგაულიდან ორი პიროვნება იღებდა მონაწილეობას

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციის ინიციატივითა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით, რეგიონში მცხოვრები ბავშვებისთვის „ჩვენ ქრომოსომებს არ ვითვლით“ -ამ სახელწოდებით ღონისძიება მოეწყო.

საზეიმო ცერემონიალს ხარაგაულიდან ორი მოზარდი- მარიამ მიქიაშვილი და გიორგი კალანდაძე -ესწრებოდა. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს იმერეთის გუბერნატორმა გივი ჭიჭინაძემ, საჩუქრები გადასცა **და მათთვის გასართობ ცენტრში სპეციალური შოუ პროგრამა მოეწყო.**

„ბავშვების სახეზე განსაკუთრებული ემოციაა. მარიამი ძალიან აქტიურია, ყველა აქტივობაში ერთვება. ნათლად ჩანს, რომ ის პატარაობიდანვე ურთიერთობს საზოგადოებასთან და ამიტომაც დღეს ყველაზე გახსნილია. ასეთი ღონისძიებების მიზანიც ხომ ესაა, დაუნის სინდრომის მატარებელი ბავშვები იყვნენ საზოგადოებაში ინტეგრირებული. ვულოცავ ყველას დღევანდელ დღეს და სრულფასოვან ცხოვრებას ვუსურვებ მათ. მადლობა სამხარეო ადმინისტრაციას ასეთი სასიამოვნო და სასარგებლო ღონისძიების მოწყობისთვის.“ - ამ სიტყვებით შეაფასა შეხვედრა ხარაგაულის გამგებელმა ნიკოლოზ თოფურიძემ.

აღსანიშნავია, რომ დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დაუნის სინდრომის მქონე ექვს პიროვნებას პირად ანგარიშზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან 100-100 ლარი ჩაერიცხა.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს

22 მარტს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებს მორიგი საბიუჯეტო ცვლილება გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, გააცნო. მოხსენებითი ბარათის თანახმად, საკრებულოს წევრებს ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკისთვის პროექტის- „უსინათლოთა არაფორმალური განათლების ხელშეწყობა“, განსახორციელებლად 20 000 ლარი უნდა მიეცათ. 3 000 ლარი - ხარაგაულის ისტორიული მუზეუმისთვის ახალი ექსპონატების გამოსაფენი სივრცის მოსამზადებლად, ხოლო 15 000 ლარი - გამგეობის ბალანსზე არსებული შენობა - ნაგებობების ელექტროენერგიის ხარჯების დასაფარავად. 23 ათასი ლარის გამოთავისუფლება სოციალური პროგრამების ბიუჯეტიდან იგეგმებოდა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე „უსინათლოთა არაფორმალური განათლების ხელშეწყობის“ პროექტი სათანადოდ არ არის მომზადებული და მოთხოვნილი თანხის ოდენობის საჭიროება არგუმენტულად არ არის დასაბუთებული.

„არ არის წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები იმისა, თუ რამდენი უსინათლო პიროვნებაა მუნიციპალიტეტში. კარგი იქნება, საკითხის შესახებ შემდეგ სხდომაზე ვიმსჯელოთ. იმედია, პროექტის ავტორსაც შევხვდებით და ჩვენს შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გაეცემა“.-დასძინა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ.

დეპუტატების ნაწილი ამბობს, რომ მუზეუმისა და ბიბლიოთეკის სუბსიდირებისთვის თანხა სოციალურ პროგრამებს არ უნდა მოაკლდეს, მაგრამ უმრავლესობის გადაწყვეტილებით, მუზეუმს 3 ათასი ლარი გადაეცა. ცენტრალური ბიბლიოთეკა კი, რომლის ბაზაზეც ახალი პროგრამის განხორციელება იგეგმება, რაც უსინათლოებისთვის ბრაილის შრიფტით წერა - კითხვის შესწავლას ითვალისწინებს, ჯერჯერობით, 20 000 ლარს ვერ მიიღებს.

რაც შეეხება გამგეობის ბალანსზე არსებული შენობა - ნაგებობების ელექტროენერგიის ხარჯების დასაფარავად, გამგეობის საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან ხარჯებში 15 000 ლარის გადატანას, საკრებულომ მხარი დაუჭირა.

საჩუქრები ხარაგაულელი სპორტსმენებისთვის

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ ხარაგაულელი სპორტსმენებისთვის საჩუქრად სპორტული ინვენტარი გამოაგზავნა.

კრივის ტომრები, ჩაფხუტები და ხელთათმანები, ფეხბურთის ტყავის ბურთები, ფორმები (მაისური, შორტი, გამაში), მეკარის ფორმები, ფეხბურთის კარის ბადეები, მინი კარების ბადეები, კალათბურთის ბურთები და ფორმები, ფრენბურთის ბადეები, რაგბის ბურთები და ძიუდოს კიმანოები - ეს იმ სპორტული ინვენტარისა და საჩუქრების ჩამონათვალია, რომლებიც ხარაგაულელ სპორტსმენებს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ თოფურიძემ და ა(ა)იპ „სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის“ დირექტორმა, დავით გელაშვილმა, პირადად გადასცეს.

საერთო ჯამში ხარაგაულმა 3 500 ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარი მიიღო.

გამგებელმა სპორტის განვითარების ცენტრში არსებული წრეების წარმატებით ასპარეზობასა და მიღწევებზე ისაუბრა. ნიკოლოზ თოფურიძემ, ახალგაზრდა სპორტსმენებს მომავალში მუნიციპალიტეტის სახელით, გვერდით დგომა აღუთქვა.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთის 4-ზოლიანი გზის პროექტირება იწყება

რიკოთის უღელტეხილზე ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთის მონაკვეთის 42 კმ სიგრძის 4-ზოლიანი გზის მშენებლობის პროექტირება იწყება, რომელიც 90-მდე ხიდსა და 40-მდე გვირაბს მოიცავს - მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი საქართველოს მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების ყველაზე მოცულობითი კომპონენტის სივრცითი მოწყობის ფარგლებში განხორციელდება.

პროექტი, რომლის ჯამური ღირებულება 800 მილიონ დოლარს შეადგენს, აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ხორციელდება.

ხარაგაულის თეატრი ქალთა დაწესებულებას ესტუმრა

საგაზაფხულო ღონისძიებების ფარგლებში, ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა №5 ქალთა პენიტენციალურ დაწესებულებაში სპექტაკლი „დარისპანის გასაჭირი“ გამართა. თეატრის რეჟისორის, ირინე ჩხეიძის, ინფორმაციით, ხარაგაულის თეატრალურმა დასმა მსჯავრდებულებს გაზაფხულის დადგომა და ქალთა დღეები მიულოცა. სპექტაკლის დასასრულს დაწესებულების დირექტორმა, ნესტან ვერულაშვილმა, თეატრის დასს სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა. რეჟისორმა ირინე ჩხეიძემ მზადყოფნა გამოთქვა, მომავალში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან ითანამშრომლოს. „ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. გვინდოდა, სპექტაკლით მსჯავრდებული ქალბატონებისთვის სიხარული მიგვენიჭებინა. დაწესებულებაში ძალიან კარგი აუდიტორია დაგვხვდა. როგორც ვიცი, აქ არიან ქალბატონები შვილებთან ერთად. ჩვენ სახალხო თეატრთან ერთად თოჯინების თეატრიც გვაქვს და, შესაბამისად, სიამოვნებით ჩავატარებთ მსგავს ღონისძიებას მომავალშიც.“-განაცხადა ირინე ჩხეიძემ.

ღონისძიება ხარაგაულის სახალხო თეატრის ინიციატივითა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა და მისი მიზანია მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია.

ხარაგაულში სპონტანური ნაგავსაყრელების მართვასთან დაკავშირებით ახალი პროექტი განხორციელდება

არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ ხელმძღვანელის, ხათუნა მანჯავიძისა და ხარაგაულის გამგებლის თანაშემწის გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში ინგა ბერაძის ინიციატივით, მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში შეხვედრა გაიმართა.

საზოგადოებისთვის, რომელთა ძირითად შემადგენლობას ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლები შეადგენდნენ, ნაჩვენები იქნა პრეზენტაცია - „სუფთა გარემო ჩვენი უფლებაა, დაცვა- მოვალეობა“. წარმოდგენილ პროექტში სოფლად სპონტანური ნაგავსაყრელების აღრიცხვასა და მათ გაკულტურებაზეა საუბარი.

პროექტი „ქალთა ფონდმა“ დაფინანსა, ხოლო მომავალში ნაგავსაყრელების აღრიცხვა გამგეობის დახმარებით მოხდება.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე და პირველი მოადგილე არჩილ მაღრაძე დაესწრნენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ქალბატონ ხათუნას გვერდში დგომა აღუთქვეს. გამგებელი ამბობს, რომ სოფლის მოსახლეობისთვის ალტერნატიული ურნების შეთავაზება საჭირო და აუცილებელია.

პრეზენტაციაზე ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებმა სოფლებში ნაგავსაყრელების მასიურობაზე გააკეთეს აქცენტი და აღნიშნეს, რომ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია ნაგავშემკრები კონტეინერები სოფლებში უბნების მიხედვით განთავსდეს.

თამარ მაღრაძე

დირექტორთა საბჭოს წევრმა ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში შეხვედრა გამართა

საქართველოს განათლების სისტემაში რეფორმები აქტიურად მიმდინარეობს. 2016 წელს შეიქმნა სკოლის დირექტორთა მუდმივმოქმედი საბჭო. იმის გამო, რომ ცვლილებები ხორციელდება ზოგადი განათლების მიმართულებით, საჭირო და აუცილებელია მუდმივი კონტაქტი სკოლის წარმომადგენლებთან და მნიშვნელოვანია მათი მოსაზრებები ახალ ხედვებთან. საბჭოს საქმიანობის ფორმატია ინფორმაციის გაცვლა, პროცესებში ჩართულობა, პრობლემების გადაწყვეტის გზების შეთავაზება, რეფორმების პროცესში თანამშრომლობა, განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების შეფასება და სხვა.

დირექტორთა მუდმივმოქმედი საბჭო როტაციის წესით მუშაობს, სისტემატიურად ხვდება მინისტრს, რაც უფრო აქტიურს ხდის თანამშრომლობას, ინფორმაციის გაცვლას სკოლებსა და სამინისტროს შორის. საბჭოს თითოეული წევრი საბჭოს წინაშე აყენებს ზოგად პრობლემებს ან შეთავაზებებს, რაც სკოლას განავითარებს, მასწავლებელთა და მოსწავლეთა მოტივაციას აამაღლებს, რაც საბოლოოდ სწავლების ხარისხზე აისახება.

20 მარტს, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში სტუმრად იმყოფებოდა დირექტორთა საბჭოს წევრი იმერეთის რეგიონიდან, ია კვატაია, რომელიც ასევე თერჯოლის მუნიციპალიტეტის სიქთარვის საჯარო სკოლის დირექტორი გახლავთ. მან დირექტორებს მინისტრთან შეხვედრების დროს განხილულ საკითხებზე ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა: „ალექსანდრე ჯეჯელავას დიდი სურვილია, ისეთი განათლების სისტემა არსებობდეს საქართველოში, სკოლის დირექტორობა სასურველ თანამდებობად იქცეს და ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც სკოლის ხელმძღვანელებს გვეკისრება, პირნათლად შევასრულოთ.“ - განაცხადა ია კვატაიამ.

დირექტორთა საბჭოს წევრმა ისაუბრა ახალ მასშტაბურ პროექტზე „თავისუფალი გაკვეთილები“, რომელიც განათლების ხარისხის ამაღლებას, მოსწავლეთა სწავლისადმი მოტივაციის ზრდას უწყობს ხელს. პროექტი განათლების სამინისტროს მიერ გაცემული გრანტის ფარგლებში ფინანსდება. ერთ სკოლაზე გაცემული გრანტის მაქსიმალური ოდენობა არაუმეტეს 3000 ლარს შეადგენს. ეს თანხები განაწილდება მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებასა და პროექტის განსახორციელებლად საჭირო რესურსებზე. „თავისუფალ გაკვეთილებში'' ჩართულები იქნებიან მეშვიდე და მერვე კლასის მოსწავლეები. ამ ეტაპზე 15-მდე სკოლაში პროექტი საპილოტე რეჟიმში უკვე მიმდინარეობს.

შეხვედრაზე საუბარი იყო ასევე სკოლის ლაბორატორიებთან დაკავშირებით. მინისტრის, ალექსანდრე ჯეჯელავას განმარტებით, ყველა სკოლა აღიჭურვოს ლაბორატორიებით, საკმაოდ რთული პროცესია. ამიტომ, ჯეჯელავა გამოსავალს ვირტუალურ ლაბორატორიაში ხედავს და სამინისტრო ამ ვერსიაზე უკვე მუშაობს. ყველა რაიონში სამი -ოთხი სკოლა იქნება ლაბორატორიით აღჭურვილი. სკოლების ნაწილს საშუალება ექნება სხვადასხვა კონკურსში მონაწილეობით ლაბორატორიები ჯილდოდ დაიმსახურონ და ვირტუალურთან ერთად რეალური კაბინეტებიც ჰქონდეთ.

ქალბატონმა იამ, სასკოლო ექსკურსიებზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით იგეგმება სიახლეები. განათლების სამინისტრო საექსკურსიო ობიექტების კატალოგის შექმნაზე მუშაობს, სადაც პირველ ეტაპზე 100 ორგანიზაცია იქნება განთავსებული. კატალოგის მიხედვით, სკოლებს საშუალება ექნებათ დაუკავშირდნენ სხვადასხვა ორგანიზაციას და იქ ექსკურსია-გაკვეთილი დაგეგმონ. სასკოლო ექსკურსიები სამინისტროს მიერ დაფინანსდება.

იმისთვის, რომ მომავალი თაობა ჯანმრთელი გაიზარდოს და ჰარმონიულად განვითარდეს, სამინისტოს ინიციატივაა, რაც შეიძლება მეტი სპორტისა და ხელოვნების გაკვეთილები დაინერგოს. ამ თემის განხილვას დიდი გამოხმაურება მოჰყვა ხარაგაულის საჯარო სკოლების დირექტორების მხრიდან, ბევრმა მათგანმა აღნიშნა, რომ სპორტული დარბაზის არარსებობა, განსაკუთრებით ზამთრის პირობებში, ხელს უშლის სპორტის გაკვეთილების ხარისხიანად ჩატარებას. ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ მთავარი მასწავლებლის მონდომებაა და სპორტული დარბაზის გარეშეც შესაძლებელია საინტერესო სპორტული აქტივობების ჩატარება. რესურსცენტრის უფროსმა ხაზი გაუსვა ნადაბურის საჯარო სკოლის წარმატებებსა და აქტიურობას ამ მიმართულებით.

სამინისტროს მიზანია, სკოლებში ამოქმედდეს მრავალფეროვანი სპორტული წრეები და სისტემატიურად ჩატარდეს შეჯიბრებები, ამასთან დაკავშირებით უკვე შემუშავდა კონკრეტული გეგმა. ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ხელოვნების მიმართულებით აქცენტი, თავდაპირველად იმ სკოლებზე გაკეთდება, სადაც მოსწავლეებს არ აქვთ შესაძლებლობა თავად დააფინანსონ სპორტული და სახელოვნებო წრეები. ამ აქტივობებს სახელმწიფო დააფინანსებს.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა პატრიოტული გაკვეთილების ჩატარების აუცილებლობაზე. დირექტორთა საბჭოს წევრმა დამსწრე დირექტორებს მოუწოდა, რაც შეიძლება ხშირად ჩაატარონ პატრიოტული ღონისძიებები.

საუბარი შეეხო ასევე ხელფასების მომატების თემასაც. ია კვატაიას ინფორმაციით, განათლების სფეროში ხელფასების მატება 2018 წლიდან იგეგმება.

შეხვედრის დასასრულს დირექტორთა საბჭოს წევრმა,სკოლის დირექტორებისთვის საინტერესო რამდენიმე საკითხი ჩაინიშნა, რასაც მინისტრთან მორიგ შეხვედრაზე განსახილველად წარადგენს.

ლელა გუგულაშვილი

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ხარაგაულის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარედ ვარლამ ჭიპაშვილი დაინიშნა

პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ხარაგაულის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარედ ვარლამ ჭიპაშვილი დაინიშნა.

იგი ამავდროულად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე და ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი გახლავთ. შეგახსენებთ, რომ ამ დრომდე „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ხარაგაულის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარედ თიკო ლურსმანაშვილი მუშაობდა.

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ვასილ ამაშუკელის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო

ქართველი რეჟისორისა და კინოოპერატორის, ვასილ ამაშუკელის, დაბადებიდან 131 წელი შესრულდა. 14 მარტს დოკუმენტალისტის იუბილესთან დაკავშირებით, ქუთაისის პანთეონში ვასილ ამაშუკელის საფლავი ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა დავით კიკნაძემ და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ვარლამ ჭიპაშვილმა იმერეთის მხარის წარმომადგენლებთან ერთად გვირგვინით შეამკეს. რეჟისორის საფლავთან ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეები (პედაგოგი მანანა სახვაძე) იღებდნენ მონაწილეობას. ვასილ ამაშუკელი წარმოშობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაშუკეთიდან იყო. იგი გახლდათ პირველი ქართული დოკუმენტური ფილმის ავტორი. 1912 წელს მან გადაიღო ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა–ლეჩხუმში,“ რომელიც ქართული დოკუმენტური კინოხელოვნების უნიკალური ძეგლია.

„ეს იყო დიდი გმირობა, ჭეშმარიტი გმირობა...“

2017 წლის 18 მარტს კიდევ ერთი საამაყო ფურცელი ჩაიწერა ხარაგაულის კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში. თბილისის მოსწავლე -ახალგაზრდობის სასახლის სცენაზე ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დამაარსებელმა, სრულიად საქართველოში აღიარებულმა ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ, წარმოადგინა თავისი 57-ე სპექტაკლი „ვარ საქართველოს გულდამწვარი ჭირისუფალი,“ რომელიც მიეძღვნა დიდი პატრიოტის, სიმონიკა ბერეჟიანინის, დაბადების 120-ე და გარდაცვალების 75-ე წლისთავს.

მონო-სპექტაკლის შექმნის შესახებ ქალბატონმა იზამ აღნიშნა: „როცა არქივში მასალებს ვიძიებდი სპექტაკლისათვის „ლევილის მთაწმინდა,“ სწორედ მაშინ წავაწყდი სიმონიკა ბერეჟიანის ტრაგიკულ ცხოვრებასთან დაკავშირებულ მასალებს. სულით ხორცამდე შემძრა იმ ანდერძმა, რომლის აღსრულებასაც ნატრობდა ემიგრანტი ბერეჟიანი. „ვინ იცის, რას მიქადის წუთისოფელი. სადაც არ უნდა იყოს ჩემი ძვალშესალაგი, აუცილებლად მომწვდება ხმა, თუ ჩემს ლექსს (ანუ პოემას - მ.გ.) მთაწმინდიდან წაუკითხავენ ჩემს საყვარელ თბილისს.“

ამ სიტყვებმა მომცა სტიმული, რომ მაქსიმალურად მომეძიებინა დოკუმენტები სიმონიკა ბერეჟიანის ცხოვრების შესახებ. აღმოვაჩინე მხოლოდ მწირი რამ, მაგრამ მაინც შევძელი სპექტაკლის შექმნა და, რაც უმთავრესია, მიზნად დავისახე, რომ სიმონიკა ბერეჟიანის ანდერძი ხარაგაულელ ნორჩ ჩოხოსნებს აღესრულებინათ მთაწმინდაზე.“

ძვირფასო მკითხველო!

მე, როგორც ამ საგაზეთო წერილის ავტორი, საჭიროდ აღარ მივიჩნევ ჩემს კომენტირებას და ასპარეზს ვუთმობ მათ, ვინც 18 მარტის ამაღლებული სიტუაციის თვითმხილველია.

„ეს იყო დიდი გმირობა - აღნიშნა **ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის თავმჯდომარემ, პროფესორმა გოგი დოლიძემ** - ჭეშმარიტი გმირობა... მე სხვა სიტყვებით ვერ შევაფასებ იმ მადლს, ღვთიური სიყვარულის გრძნობის იმგვარად გამოვლინებას, რაც შეძლო დღეს ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულმა თეატრმა სპექტაკლით „ვარ საქართველოს გულდამწვარი ჭირისუფალი,“ სპექტაკლის შემოქმედმა, უნიჭიერესმა ქალბატონმა, იზა ვეფხვაძემ, რაც შეძლო ხარაგაულელმა ნორჩმა ჩოხოსნებმა, როცა მათ ანდერძი აღუსრულეს ბედის უკუღმართობით უცხოეთში საფლავგაუჩინარებულ მგზნებარე მამულიშვილს, სიმონიკა ბერეჟიანს. მათ უნაკლოდ, საოცარი დეკლამაციით, წკრიალა ხმებით გადმოღვარეს სიმონიკა ბერეჟიანის ვრცელი პოემის ცეცხლოვანი სტრიქონები. ამით ისინი ეზიარნენ დიდ სიკეთეს, რომელიც ასაზრდოებს მათ მომავალს, რომ გახდნენ ღირსეული ქართველები და თავდადებით ემსახურონ იმ უძვირფასესს, რასაც ჰქვია სამშობლო.“

– „იზა ვეფხვაძე მე, და არა მარტო მე, მაოცებს საოცარი მეხსიერებით, გარდასახვის ნიჭითა და უნარით, არამედ იმ დიდი მამულიშვილობით, იმ ქართველქალობით, რომლითაც იგი სრულიად გამორჩეული და ორიგინალურია.

სიმონ ბერეჟიანისადმი მიძღვნილი საოცარი სპექტაკლი, ამ დიდი ქართველის ანდერძის ასრულება, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ დიდი გულის ადამიანს შეეძლო, ეს მხოლოდ იზასნაირ ქართველს შეეძლო...

მე იშვიათად მახსოვს ჩემს ცხოვრებაში ასეთი ამაღლებული და ემოციური დღე...

ეს ულამაზესი დღე საოცრად გაალამაზეს ხარაგაულელმა ჩოხოსნებმა, რომელთაც დიდი მგზნებარებით აასრულეს მთაწმინდაზე სიმონ ბერეჟიანის ანდერძი. ბარაქალა ხარაგაულს, ამ ისტორიული მისიის ასრულება სწორედ ხარაგაულელებმა შეძლეს და ამ ორიგინალური და საშური საქმის სათავეში უნიკალური იზა ვეფხვაძე მოგვევლინა.

რას გვერჩი, იზა? როცა შენ სცენაზე დგახარ, გული ვერ უძლებს იქიდან წამოსულ ემოციებს, ჯერ შენ ატარებ შენს გულში და შემდეგ ჩვენს ათრთოლებულ გულებში გადმოღვრი...“ **- ანზორ ბაბუხადია, ეკონომისტი, გაზეთ თანადგომის“** გამმცემელი.

– „აფერუმ, ჩვენო იზა, ტყუილად კი არ უწოდა შენმა უსაყვარლესმა პედაგოგმა, ქალბატონმა მერი გიორგიძემ, შენდამი მოძღვნილ წიგნს „იზა ვეფხვაძე - დიდ წინაპართა გამცოცხლებელი.“

როცა თქვენს 57-ე სპექტაკლს – „ვარ საქართველოს გულდამწვარი ჭირისუფალი“ – ვუყურე 18 მარტს თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის სცენაზე და შემდეგ ხარაგაულელი ნორჩი ჩოხოსნების მიერ სიმონიკა ბერეჟიანის ანდერძის აღსრულებას დავესწარი მთაწმინდაზე, დავრწმუნდი, რომ თქვენ და ჩოხოსნებმა ნამდვილად გააცოცხლეთ დღემდე საფლავმიუგნებელი პატრიოტი, სიმონიკა ბერეჟიანი...

დიდხანს ვიდექი გაოგნებული, სიხარულით სულშეძრული და სრულ რეალობად მივიჩნიე, რომ მთაწმინდაზე პაემანი ნამდვილად შედგა, რომ პოემის მგზნებარედ წარმოთქმული სტრიქონები მოისმინა არა მარტო თბილისმა, არამედ თვით მისმა ავტორმაც.“ **- დავით ჭელიძე, მწერალი, ჟურნალისტი.**

„ვინ ხართ და რა ხართ ეს ხარაგაულელები, საიდან რას მოჩხრეკთ, საიდან რას მოიძევთ სიკეთისათვის, მადლიერებისათვის. დღეს, მარტო თქვენმა კი არა, ასევე ჩემმა ხარაგაულმა, პატრიოტული ცეცხლი ააგიზგიზა მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლეშიც და მთაწმინდაზეც.

ჩემო ხარაგაულელებო!

თქვენ ნამდვილად უჭირისუფლეთ, „საქართველოს გულდამწვარ ჭირისუფალს“ - სიმონიკა ბერეჟიანს. მადლობა ამ დიდი პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული მამულიშვილის ანდერძის ასრულებისათვის. მადლობა ქალბატონ იზას, ამ საოცარი ჩანაფიქრის ხორცშემსხმელს!“ **- პროფესორი დარეჯან ბუაჩიძე.**

„ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ სპექტაკლი მიუძღვნა იმ პიროვნებას, რომელმაც უმძაფრესი კატაკლიზმებით აღსავსე ეპოქაში ყოველგვარი ზნეობრივი კომპრომისების გარეშე იცხოვრა ღირსეულად. სიმონიკა ბერეჟიანისათვის სამშობლო და ჭეშმარიტება ყველაზე წმინდა ღირებულებები იყო.

ღმერთს ვუმადლი, როგორც იზა ვეფხვაძის თანამოაზრე და მეგობარი, ვიყავი მოწმე იმ დიდი მისიისა, რომელიც იტვირთა და წარმატებით აღასრულა ქართული სულიერებით მადლმოსილმა რეჟისორმა. ცრემლებს ვერ ვმალავდი, როცა ასეთი მაღალი პატრიოტული შეგრძნებით აუსრულეს ხარაგაულელმა ჩოხოსნებმა ანდერძი დაკარგულ მამულიშვილს. მათ დავიწყების ბურუსიდან გამოუხმეს პატრიოტის წმინდა სულს.

დაე, მარად იზეიმოს ქართულ მიწაზე ნიჭიერებამ და შემართებამ!“ **- ღორეშის მემორიალური მუზეუმის დირექტორი ნინო ჯიბუტი.**

„როგორც მმობელი, უბედნიერესი ვარ, რადგან ჩემი სამი ვაჟკაცი: ლუკა, საბა და პავლე გახდნენ ოფიციალურად ჩოხოსანთა დასის წევრები და უბედნიერესია ყველა ის ხარაგაულელი მშობელი, რომელთა შვილებმაც დღეს მთაწმინდაზე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავთან, ჩოხოსან რაინდთა დასის თავმჯდომარის, პროფესორ გოგი დოლიძის, ხელით მიიღეს დასის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ეს ბავშვები საქართველოს ხვალინდელი დღის ნერგები არიან და, ვინ იცის, დღევანდელი დღე ნაყოფს სად, ან როდის გამოიღებს. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს დღე ნოყიერი ხნულია და კეთილ ნაყოფს მისცემს საქართველოს მომავალს.“ **- მშობელი, ბესო ხომასურიძე.**

P.S. 18 მარტს ხარაგაულელთა წარმატებამ სტარტი საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან აიღო. თვალებხატულა ჩოხოსანი გოგო- ბიჭები თავიანთ წინამძღოლებთან ერთად საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ესტუმრნენ. ინტერესით დაათვალიერეს ჩვენი დიდებული წარსულის ამსახველი ექსპონატები და შემდეგ მის კედლებში უფლის საგალობელი და დიდებული „შავლეგო“ აახმიანეს (რეგენტი -თორნიკე ბაკურაძე), მგალობელთა გუნდმა ასახელა თავისი საყვარელი რეგენტი და შესრულების ოსტატობით მოხიბლა მსმენელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეშიც და მთაწმინდაზეც.

მრავალ ასეთ წარმატებას შეახვედროს უფლის მადლმა ხარაგაული და ხარაგაულელები!

მერი გიორგიძე

„ო, განვედ ჩემგან, ძლიერო სენო!“

(ლადო ასათიანის დაბადების ასი წლისთავისათვის)

ლადო ასათიანი დიდი სიცოცხლისთვის იყო მოვლენილი ამქვეყნად, ისეთი სიცოცხლისათვის, რომელიც მარტოოდენ რჩეულთა ხვედრია და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან, სრულიად ჭაბუკმა, ოცდაექვსი წლის ასაკში, შეძლო ასეთ სიცოცხლესთან ზიარება...

ოცდაექვსი წელი... ეს ხომ წამიც არაა დროის უკიდეგანო სივრცეში. და ლადოს ძლიერმა ნიჭმა მაინც მოასწრო, რომ პოეტური ფუნჯით მოეხატა საქართველოს მზე და ზეცა, ზენაარის მიერ საქართველოს მთებში გაჩენილი „ხმათა ხავერდების, სიყვარულის, ლექსისა და სადღეგრძელოს ენა“, გამოეხატა პატივისცემა კრნანისის ველზე დაღვრილი სისხლისა, კიდევ ერთხელ შეეხსენებინა, რომ „სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში საქართველოს ცხელი გული ასვენია“, რომ შთამომავლობისათვის ეჩვენებინა გზები ზნეობრივ სიმაღლეებთან მისაახლებლად...

ლადო ასათიანი უსაზღვროდ იყო შეყვარებული სიცოცხლეზე. ყველას სთხოვდა და აფრთხილებდა სიცოცხლის მოტრფიალე პოეტი:

„რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,
სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!„

„ბასიანის ბრძოლის“ ავტორი ოცნებობდა, „ქართლის ცხოვრების“ ღირსსახსოვარი ეპიზოდები გაელექსა პოემებად, საქართველოს ისტორია ლექსად დაეწერა ბავშვებისათვის, მათი სულები გაელამაზებინა „ასფურცელას“, „ირმისას“ და სხვა უამრავი ქართული ზღაპრის ლექსად ამეტყველებული სტრიქონებით.

რითმითა და რიტმით გაჯერებული ლირიკული ლექსებიც ხომ დახვავდებოდა მის შემოქმედებით კალოზე, მაგრამ ბარდნალელი ჭაბუკის ჩანაფიქრს ადრიანად ჩაუსაფრდა სიკვდილის ორლესული მახვილი, ჩაუსაფრდა და...

ლადოს უბის წიგნაკში ჩაუწერია: „რა იქნებოდა ტოლსტოისა და გოეთეს ხნის ბაირონი, პუშკინი, ბარათაშვილი ან ლერმონტოვი...„

და რა იქნებოდი თვით შენ, ქართული სიტყვის ჯავარით მადლმოსილო ნიჭიერო პოეტო, „მარად ჭაბუკად დარჩენილო“, ლადო ასათიანო!

როცა ამ ადრე წასულ პოეტზე ვფიქრობ,უმალ ამოტივტივდება ჩემს აზროვნებაში სახელი იმ საშინელი დაავადებისა, რომელსაც ადრე ჭლექს უწოდებდნენ.

სწორედ ჭლექმა, იმჯერად უკურნებელმა სენმა, მიმართა თავისი ორლესული მახვილი ჭაბუკი პოეტის ფილტვებისაკენ...

რა ვაჟკაცური შემართება იგრძნობა ამ დაწყევლილი სენის მიმართ პოეტის შემდეგ სტრიქონებში:

„როგორ არ მინდა, ძლიერო სენო,
ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო!
როგორ არ მინდა, ჩემს სიჭაბუკეს
დააჩნდეს შენი შავი ჩრდილები!...
ეს რა უშრეტი ცეცხლით დამბუგე,
პირს მარიდებენ ქალიშვილები...„

იცოდა, რომ მალე დადგებოდა სანატრელ სიცოცხლესთან განშორების დღე და ნატრობდა:

„ვიდრე სიკვდილი გამახვევდეს
ბნელს მოსასხამში,
ვიდრე სიკვდილის ჭვალი გულზე
დამესობოდეს,
უკანასკნელად დამაწვინეთ ჩემს
ოდა სახლში,
უკანასკნელად, ვიდრე თვალნი
დამევსებოდნენ...“

ამიტომაც უანდერძა თავის ერთას, მანანა ასათიანს:

„მოცქრიალდი ჩემს საფლავთან,
ვით სიცოცხლის ლურჯი თვალი...
და, ყვავილთა დედოფალო, მოიგონე
მამაშენი,
მოიგონე მამაშენი, შუშა-ოქროდ
გასაზრდელო,
თქვი, რომ მოკვდა სიყვარულით,
შეუყვარდა საქართველო...“

პოეტს ჰქონდა რწმენა, რომ მედიცინის განვითარების შედეგად ჭლექი იქნებოდა განკურნებადი, როგორც ჩვეულებრივი სახადი დაავადება, რომ ის „ახალი დროის ქალ-ვაჟებს“ ვეღარ მოერეოდა. და რაოდენ ძლიერია პოეტის შეძახილი:

„ო, განვედ ჩემგან, ძლიერო სენო,
ჩემს შემდეგ ნურვინ ნუ მოგიხსენოს!..“

***

როდესაც ლადოს ამაღლებულ პოეზიაზე ვფიქრობ, მომეძალება ფანტაზია და მივუშვებ სადავეებს...აი, ლადო ასათიანი განკურნა აბასთუმანმა, განკურნა თანამედროვე მედიცინამ, შეისრულა ყველა ის ნაფიქრ-ნაოცნებარი, რაც მამულზე, ქართველებზე და საქართველოზე სიყვარულით ჰქონდა შთაგონებული...

განა არ ცოცხლობენ ადამიანები ას წელსაც და უფრო მეტ ხანსაც?...

ისევ ლადო ასათიანის უბის წიგნაკს დავესესხები: „ასი წლის კაცი, დოსტი ფიროსმანის, დადის ქუჩაში, უსინათლო...„

ჰოდა, 2017 წლის 14 იანვარია... „რუსთაველის პროსპექტზე სიარული არ მოუშალა ღმერთმა“ და სწორედ სანატრელ ქუჩაზე მიემართება იუბილარი- ასი წლის ლადო ასათიანი... სიყვარულით შეავლებს თვალს გამვლელ-გამომვლელთ და შემდეგ, გალაკტიონის მსგავსად, მთაწმინდისაკენ სავალ გზას მიაპყრობს მზერას...

ვინ იცის, ლადოც მთაწმინდის ბინადარი იქნებოდა, მისი ნიჭის ლამპარი უკურნებელ სენს ადრიანად რომ არ ჩაექრო...

ვინ იცის!...

მერი გიორგიძე

შემაჯამებელი პრეზენტაცია ინოვაციების ცენტრში

19 მარტს ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის ინოვაციების ცენტრში ტრენინგების კურსის „ახალგაზრდები ინოვაციური განვითარებისთვის“ შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა. USAID-ისა და ჯეოლაბის ერთობლივი პროექტის ძირითადი თემა სოციალური მედია და მენეჯმენტია, რომელიც საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ეგიდით განხორციელდა. ტრენინგის მიზანი ახალგაზრდებისთვის სოციალურ მედიასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობა და ასევე, სხვადახვა პროექტში მათი ჩართულობის სწავლება იყო.

მსმენელებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია - პროგრამირების, კოდის, ალგორითმის, ალგორითმების აგების, ფსევდოკოდის, HTML, პრაქტიკული დავალების -HTML ისა და ასევე ვებ-გვერდის https://mecnieri.me/ka- შესახებ. ჩატარდა ქიმიური და ფიზიკური ექსპერიმენტი. მოსწავლეებმა გამოიყვანეს ბანანის გენეტიკური კოდი, შექმნეს ხელოვნური ვულკანი, ცდების საშუალებით გაეცნენ ბუნებაში მიმდინარე მოვლენებს. ტრენინგზე დაგეგმილი იყო ასევე შემოქმედებითი იდეების მარათონი. ახალგაზრდებმა შექმნეს ვებ-გვერდის აპლიკაცია, მოიფიქრეს წარმოსახვითი ტექნოლოგიური ბიზნეს-მოდელი. ღონისძიების დასასრულს მოხდა პროექტის შეჯამება. მონაწილეებს სერტიფიკატები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ. პროექტში ორმოცამდე ხარაგაულელი ახალგაზრდა იღებდა მონაწილეობას, რომლებმაც დიდი კმაყოფილება გამოთქვეს ინოვაციების ცენტრში მიღებული ცოდნისა და მრავალი საინტერესო იდეების გაცნობისათვის.

ლელა გუგულაშვილი

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით ინოვაციების ცენტრში დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე აღინიშნა. ღონისძიება შემეცნებით-ინტელექტუალურ ხასიათს ატარებდა და მასში მუნიციპალიტეტის 14 საჯარო სკოლა იღებდა მონაწილეობას. სკოლის მოსწავლეებს მომზადებული ჰქონდათ ვიდეორგოლები, სადაც დაუნის სინდრომთან დაკავშირებით ინფორმაციას, თავიანთ შეხედულებებსა და ემოციებს გადმოსცემდნენ.

ხარაგაულის რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ, პროექტში აქტიური მონაწილეობისათვის სკოლებს მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ ნაჩვენებ ვიდეორგოლებს სპეციალურად შერჩეული ჟიურის წევრები შეაფასებენ, გამარჯვებულ სკოლებს კი სამახსოვრო საჩუქრები გადაეცემათ საგანმანათლებლო კვირეულის მიმდინარეობის დროს.

შეხვედრაზე ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტმა, ნათია კაციტაძემ, აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო კვირეულის ფარგლებში ბევრი საინტერესო და შემეცნებითი ღონისძიებაა დაგეგმილი.

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საღამოს ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი ოთარ ლურსმანაშვილი, საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მარინე ვეფხვაძე და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი დაესწრნენ.

ლელა გუგულაშვილი

მდინარე ჩხერიმელაზე ჯომარდობის პირველი დაშვება განხორციელდა



ხარაგაულში მდინარე ჩხერიმელაზე ჯომარდობის პირველი დაშვება განხორციელდა. სპორტის ექსტრემალური სახეობა ,,ტურიზმის ცენტრის“ დირექტორის ბერიკა თურმანიძისა და გამგებლის თანაშემწის გენდერულ საკითხებში ინგა ბერაძის ინიციატივითა მოეწყო და მასში 28 ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

ჯომარდობამ სტარტი ე.წ. „დევების“ მიმდებარე ტერიტორიიდან აიღო, სვლა 3 ნავით განხორციელდა. დაშვებას ჩხერიმელაზე ჯომარდობის ფედერაციიდან სპეციალური ჯგუფი აკონტროლებდა.

სვლა 5 კილომეტრიან მონაკვეთზე საკმაოდ რთული აღმოჩნდა,თუმცა დანიშნულების ადგილზე ყველა მონაწილე მშვიდობით მივიდა.

ჯომარდობას ჩხერიმელაზე ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე, გამგებლის მოადგილეები: არჩილ მაღრაძე, თეიმურაზ ჩხეიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ადევნებდნენ თვალყურს.

ეკა შავიძე

ჩვენო უსაყვარლესო ვაღოდა ბაბუ!

27 მარტი, თქვენი დაბადების დღე, თითოეული ჩვენგანის საზეიმო დღეა. გვეამაყება, რომ თქვენ, ბატონო ვალოდა (იუზა) კელენჯერიძე, ჩვენი კლასის უფროსი მეგობარი ბრძანდებით. თქვენთან მიმართებაში სიტყვა „მეგობარს“ აქვს მაქსიმალური დატვირთვა.

მადლიერები ვართ, რომ ძალზე შრომატევადი სამუშაო რეჟიმის მიუხედავად, მუდამ პოულობთ დროს ჩვენს დასამოძღვრად, თითოეული ჩვენგანისთვის სამომავლო გზების გასაკვლევად.

თქვენი ყურადღების არეალშია მუდამ ჩვენი აკადემიური წარმატება, ქცევა ქუჩასა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

თქვენთან ყოველი შეხვედრა გვამაღლებს ზნეობრივად, გვიძლიერებს პასუხისმგებლობის გრძნობას.

ჩვენი წრფელი გულებით შევთხოვთ უფალს - უწინამძღვროს თქვენს ჯანმრთელ და დღეგრძელ სიცოცხლეს, რათა დიდხანს, ძალიან დიდხანს გაგრძელდეს ჩვენი მეგობრობა, ეს სანეტარო ურთიერთობა.

სიყვარულითა და დიდი მოკრძალებით -
ხარაგაულის N3 საჯარო სკოლის მეცხრეკლასელები

კალათბურთის ჩემპიონატში ხარაგაულის გოგონათა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა

18 მარტს კალათბურთში იმერეთის ჩემპიონატზე ხარაგაულისა (მწვრთნელები: ნუგზარ კაპანაძე და გოჩა ბუაჩიძე) და ქუთაისის გოგონათა გუნდებს შორის ფინალური შეხვედრა გაიმართა. მატჩი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა და ხარაგაულელმა სპორტსმენებმა მეორე ადგილი დაიკავეს.

ფინალური შეხვედრა ქუთაისში ჩატარდა და მას ხარაგაულელი გულშემატკივრებიც ესწრებოდნენ.

ვულოცავთ ახალგაზრდებს ამ გამარჯვებას და შემდგომში წარმატებებს ვუსურვებთ!

გაცნობებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივით კალათბურთელი გოგონებისათვის უახლოეს მომავალში ექსკურსია მოეწყობა.

ხარაგაულის მოსახლეობას საშუალება ეძლევა სკრინინგის უფასო აქციაში მიიღოს მონაწილეობა

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის (დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე) ინიციატივით, ხარაგაულის მოსახლეობას საშუალება ეძლევა, კიბოს სკრინინგის უფასო აქციაში მიიღოს მონაწილეობა. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საქართველოს რეგიონებში, „სკრინინგის“ პროგრამა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დაფინანსებით და გაეროს ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით ხორციელდება.

ხარაგაულის მოსახლეობისთვის გამოკვლევების პირველი ეტაპი 17 მარტს ქუთაისში, კლინიკა - „ჰერა-21-ში,“ ჩატარდა.

უფასო გამოკვლევები მოიცავს:

1. ძუძუს კიბოს სკრინინგი - (40-70 წლის ასაკის ქალებში) 2 წლიანი ინტერვალით;
2. საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - (25-60 წლის ქალებში) 3 წლიანი ინტერვალით;
3. პროსტატის კიბოს სკრინინგი - (50-70 წლის მამაკაცებში) წელიწადში ერთხელ;
4. მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი - (50-70 წლის ორივე სქესის ბენეფიციარებში) ორწლიანი ინტერვალით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი პროექტის მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობას და საკრებულოს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამმართველოს ხელმძღვანელს, გოჩა გიორგიძეს, გულისხმიერი თანამშრომლობისთვის და კლინიკა „ჰერა-21-ის“ დირექტორს, მარიკა დავითულიანს, მაღალი ხარისხის მომსახურებისთვის.

ჯანდაცვის ცენტრი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობისთვის სკრინინგის პროექტს ეტაპობრივად გააგრძელებს და მოსახლეობის უფასო მგზავრობას უზრუნველყოფს.

დაინტერესებული პირები დაუკავშირდით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრს.

საკონტაქტო ტელეფონი: (0)433 22 17 47

ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა მყარი ნარჩენების შემგროვებელი 100 ცალი კონტეინერი მიიღო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს მყარი ნარჩენების შემგროვებელი 100 ცალი კონტეინერი გადმოეცა. ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების“ დირექტორის, თემურ ფურცელაძის, ინფორმაციით, ამ დროისთვის დაბა ხარაგაულსა და პატარა ხარაგაულში არსებულ კონტეინერებს ახალი ნაგავშემკრები ურნებით ჩაანაცვლებენ, ხოლო არსებული ტექნიკა გასუფთავდება სპეციალური ხსნარით და მოთხოვნების მიხედვით გადანაწილდება სოფლებში.

ახალი ნაგავშემკრები კონტეინერები დაიდგმება იმ სოფლებში, სადაც ამჟამად არ არის განთავსებული - მაგალითად: ბაზალეთში, ვახანში,მოლითში, წიფაში, მარელისში, ლეღვანში. ურნები დაემატება კიცხის ზონასა და ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ზონას.

ახალი კონტეინერები ერთტონიანია და ის ტევადობით ორჯერ აღემატება ამ დროისთვის ხარაგაულში არსებულ ურნებს.

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულს ცოტა ხნის წინ ასევე გადმოეცა 2 ნაგავმზიდი მანქანა. აღნიშნული ინვენტარი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით შეიძინა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გადმოსცა. საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტისთვის სულ 144 ნაგავმზიდი მანქანა და 7 209 ნაგავშემკრები კონტეინერი იქნა შეძენილი. პროექტის ჯამური ღირებულება 12 მლნ ევროა.

ეკა შავიძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12